

"ეს ჰესი რეგიონს ყოველწლიურად 2 მილიონი ღარის შემოსავაღს მოუტანს"



ღენტეხში მცირე ჰესის, „ხედელუდა 3“-ის მშენებლობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვა არ შედგა.

ჰესის მშენებლობას ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებდა და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სომარ სუბარმა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია თურნავას შენობაში შესვლის საშუალება არ მისცა. მოსახლეობასა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა. მშენებლობა მდინარეების – ხედელუდასა და დევაშის ხეობებშია დაგეგმილი. მოსახლეობის თქმით, ჰიდროელექტროსადგურისთვის კომპანია გვირაბების მოწყობას გეგმავს, რაც ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს. ამასთანავე, ჰესის მშენებლობისთვის ოც ჰექტრამდე ფართობზე ტყეც გაირეხება.

„ეს ჰესი რეგიონს ყოველწლიურად ორი მილიონი ღარის შემოსავაღს მოუტანს, რაც რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. პროექტში არსებობს ხარვეზები, თუმცა მათი გამოსწორება შესაძლებელია“, - განაცხადა სომარ სუბარმა.

როგორც ნათია თურნავამ აღნიშნა, ღენტეხში მოსახლეობის აზრი გაყოფილია ორად, არის მოსახლეობის ნაწილი, ვისაც აინტერესებს კომუნიკაციაში შემოსვლა და არის მეორე ნაწილი, რომელსაც საერთოდ არ სურს ამ საკითხზე კომუნიკაცია. მისი თქმით, ინვესტორი ასევე გეგმავს შექმნას სპეციალური სოციალური ფონდი, რომელიც მართვაში

გადაეცემათ ადგილობრივებს და ამ ფონდში არსებული თანხა, დაახლოებით ათჯერ მეტი იქნება ადგილობრივ ბიუჯეტზე, საიდანაც შესაძლებელია ძარიან ბევრი სასარგებლო პროექტის დაფინანსება.